№ 130 ივნისი 27, შაბათი 1887 ივნისი 27, შაბათი № 130

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია" პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

შინაარსი: ტფილისი, 26 ივნისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: დანარის საზოგადოება.—ნარკვევი.—რუსეთი.—უცხოეთი.—ბიბლიოგრაფია: მსოფლიო ისტორია ქართულს ენაზედ.—წვრილი ამბები.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: დიდ-სულოვანი ქალი (მოთხრობა).

ტფილისი, 26 ივნისი

„ივერიის" 122 ნომერში დაბეჭდილია სურამიდამ მოწერილი ამბავი და სხვათა შორის ის არის მოხსენებული, რომ ზოგი მამულები გვირაბით გამოსატან რკინის გზისათვის საჭიროა შესასყიდლად. ამისთანა შემთხვევაში გადება მამულისა გასყიდვით ძალდატანებული გასყიდვაა, ამიტომაც სახელმწიფო მეტად ფრთხილად და დიდის რიდით იქცევა, როცა საჭიროება იძულებულ ჰხდის შეეხოს ცალკე კაცის საკუთრებასა და თუ ნება-ყოფლობით არა, ძალადაც ჩამოართვას მამული.

ესეთი ძლიერი უფლება სახელმწიფოსი დამყარებულია მასზედ, რომ თვითონ საკუთრებაც იმისთანა ბუნებისაა, რომ ერთის მხრით ემსახურება ცალკე კაცის საჭიროებას და მეორეს მხრით საზოგადო საყოველთაო მოთხოვნილებას ექვემდებარება. ეს ორ-გვარობა საკუთრებისა წარმომდგარია თვითონ ადამიანის ბუნებისაგან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ერთის მხრით ცალკე სულიერია და თავისი პირადი, საკუთარი საგანი და ინტერესი აქვს და სხვაზედ დაუმოკიდებლად მიეზიდება ამ საგნისა და ინტერესისაკენ და მეორეს მხრით ერთი მრავალთაგანია, თავის მსგავს სულიერებზედ მრავალ გვარად დამოკიდებული და მაშასადამე ასე თუ ისე მოვალეა წინაშე საზოგადოებისა, რომლის გარედ ცხოვრება არ შეუძლიან ბუნებითად.

როცა საკუთრება ცალკე კაცისა საყოველთაოდ გამოსაყენია და საჭირო, მაშინ გარემოება იძულებულ ჰყოფს სახელმწიფოს კერძო საკუთრებას მისი საზოგადოებური ვალდებულებაც მოსთხოვოს. მაშინ კერძოობა საკუთრებისა, მისი ხელშეუხებლობა ადგილს უთმობს თვის საზოგადოებურს მოვალეობას და აქ თუ კერძო მხარე საკუთრებისა გაუქინიანდება, სახელმწიფოს ნება აქვს მაგ ქინს ყური არ ათხოვოს, იმიტომ-რომ სახელმწიფოს უყველანი უფრო მეტად უნდა მიაჩნდეს, ვიდრე თვითეული კერძოდ. რადგანაც ამასთანავე კერძო საკუთრების შეურყევლობაც დიდს განძად მიაჩნია სახელმწიფოს თვითონ საზოგადოების დღეგრძელობისა და წესიერად ცხოვრებისათვის, ამიტომაც მარტო განსაკუთრებულს, განსხვავებულს შემთხვევაში მოჰკიდებს ხოლმე ხელსა ამ დიდ მნიშვნელობიანს უფლებასა, მერე იმ სიფრთხილით და რიდით, რომ კერძო საკუთრების პატრონი არ დააზიანოს.

ერთ ამისთანა საზოგადო საჭიროებად სამართლიანად ცნობილია რკინის გზის გატარებაცა, რომლის გამოც სახელმწიფო იძულებულია კერძო საკუთრების პატრონს ჯერ ნებით მოსთხოვოს მამული და თუ ნებით არ გარიგდა, კანონისამებრ ძალით ჩამოართვას. ამის შესახები კანონი ცხადია და რაც შესაძლოა ყოველი შემთხვევა კანონს წინად დანახული აქვს. ეს კანონები ჩამოთვლილი გვქონდა «ივერიაში» და ყოველს კერძო მემამულეს, რომელსაც-კი სახელმწიფოს სახელით მოსთხოვენ მამულსა, ღონე აქვს ეს კანონები ფარად იხმაროს თვით-ნებობის და ძალმომრეობის მოსევის მოსაგერებლად.

სურამიდამ მოწერილ წერილში ნათქვამია, რომ ორმოც-სამოც თუმნიან მამულში იძულებულ ჰხდიან მამულის პატრონსა ოთხსა და ხუთს თუმანს დასჯერდესო. ეს რასაკვირველია დიდი უსამართლობაა, მაგრამ ბრალი ვისია და რისა? კანონი თვითეულს გზას უჩვენებს როგორ მოიქცეს, თუ ვინიცობაა ცოტა შეაძლიეს მამულში და ან ნება-ყოფლობით არ მორიგდნენ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ვერც მსყიდველს მიეცემა ნება თავის ნებაზედ იაროს და ვერც გამსყიდველსა, იმიტომ-რომ ერთის მოგებაა ნაკლები აძლიოს და მეორისა მეტი მოსთხოვოს. კანონი ამას ვერ შეიწყნარებს და ამიტომაც კანონს კომისია აქვს დანიშნული ადგილის კაცთაგანვე, რომელთაც, იმიტომ-რომ ადგილის კაცნი არიან, უნდა სხვაზედ უკეთ იცოდნენ ყოველივე გარემოებანი გასაღების მამულისა, რომელთ კრებულთაგან შესდგება ხოლმე მისი სამართლიანი ფასი. კანონი ამ კომისიის გადაწყვეტილებასაც არა ჰკმარობს, თუ ვინიცობაა უკმაყოფილოდ დარჩა ან ერთი ან მეორე მხარე და ნებას აძლევს ერთსაც და მეორესაც ორის კვირის განმავალობაში თავისი საბუთები წარადგინოს ჯეროვანს ადგილს და შებღალული სიმართლე აღადგინოს.

ამ მხრით კანონი თითქმის ყოველს ღონის-ძიებასა ჰხმარობს არავინ არ დაიჩაგროს და თუ ვინმე იჩაგრება, ეგ მარტო იმიტომ-რომ თვითონ ჩვენ ჩვეულნი არა ვართ ჩვენ თვითონ ვზდიოთ ჩვენს საქმესა და კანონი ავიფაროთ. სურამელებსაც ამას ვურჩევთ, რომ ამ გვარს შემთხვევაში თვით-ნებობას წინ დაუყენონ კანონი და დაჩაგვრას პირი აბრუნებინონ. ამისათვის საჭიროა შიგ ჩაიხედონ კანონებში, რომელნიც ცხადად აჩვენებენ რა მჭრელი ხმალი შეუძლიანთ მამულის მსყიდველთ ამოაწვდინონ მამულის პატრონზედ ამ შემთხვევაში და მამულის პატრონებს რა ფარი შეუძლიანთ წინ დაახვედრონ. ეს მით უფრო ადვილია, რომ ამის შესახები კანონები „ივერიაში" (№ 123) დაბეჭდილია, ქართულად თარგმნილი და ამიტომადაც საცოდნელად ადვილად ხელ-მისაწვდენი.

ახალი ამბავი

*** ჩვენ გავიგეთ, რომ სოფელ ალექსანდროდორფში წელს ნაცარი გასჩენია ვაზსა. ამ გერმანელებს კარგა დიდი შემოსავალი აქეთ ხოლმე ყურძნის გაყიდვით ტფილისში. ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდს ზარალს მისცემს იმათ წლევანდელი ნაცარი, რომელსაც ეს გერმანელნი მაინც გულ-ხელ დაკრეფით არ შეჰ-

ფელეტონი

დიდ-სულოვანი ქალი

(ფრანგულიდამ)

რკინის გზის მატარებელი გაქანებული მიქროლავდა ერთ გაშლილ დაცემულ ვაკეზე. მე და ჩემს მეგობარს, სახელ-განთქმულს ექიმს, ცალკე ვაგონი გვეჭირა, ფანჯარასთან ვისხედით და თვალს ვერ ვაშორებდით ადგილებს, სადაც მატარებელი მიგვაფრენდა. საუცხოვო რამ ადგილები იყო. აგერ ერთს რკინის გზის საყარაულოს დაუპირდაპირდა მატარებელი.

— ბენუატა თავის ადგილასა დგას! წამოიძახა უცბად ამ ექიმმა. ადე ჩქარა, შეჰხედე ამ ახალგაზდა ქალსა, ხელში პატარა ბაირაღი რომ უჭირავს.

საჩქაროდ მივეარდი ფანჯარას:— მართლაც საყარაულოს წინ იდგა მაღალი, ტან-წერილი ქალი და ხელში ეჭირა პატარა ჯოხი, რომელზედაც მწვანე სანიშნობელი ბაირაღი იყო დახვეული. პირი-სახის გასინჯვა ვერ მოვასწარ ერთის თვალის მოკვრით, მხოლოდ ის-კი შევნიშნე, რომ ცალი ფეხი ხისა ჰქონდა და მაღალ, გადაშლილ შუბლზე ეტყობოდა ჭრილობა, რომელიც ჯერ კიდევ არ გამთელებოდა.

— ნეტა რა ქალია? ომში გამოვლილ, დამსახურებულ ჯარის-კაცს-კი ჰგავს და. ნეტა რა გადაჰხედია მაგ ქალსა? ხომ არ იცი შენ მაგის ამბავი?—ვეკითხებოდი ექიმსა.

— დიახ, ჩემო მეგობარო, საკვირველი ქალია ბენუატა. ეს ქალი ნამდვილი, ცხოველი ხატია დიდ-სულოვანობისა, გულ-კეთილობისა, გმირია,—ნამდვილი, სისხლ-ხორციანად, თუმცა ერთი ფეხი-კი ხისა აქვს.

— როგორ დაემართა ასეთი უბედურება? სად დაიჭრა და დაიშავა ასე თავი? მართლა ომში ხომ არა ყოფილა?

— არა, ომი ამის უბედურებაში არაფერს შუაშია. ამ ქალმა სულ სხვა გვარ საქმეში ისახელა თავი: ბენუატამ თავი არ დაიზოგა და წმინდად აასრულა ის მოვალეობა, რომელიც მას კისრად ედო თანამდებობის ძალით, და მეორედ კიდევ სიცოცხლე არ დაინანა უფრო დიდ და უმაღლეს ადამიანის მოვალეობისათვის...

ამ ორის წლის წინად ამავე ადგილას მატარებელი ასევე გაქანებული მიგრიალებდა, როგორც დღეს, და მოადგა იმ საყარაულოს, რომელიც ეს არის ეხლა გამოვიარეთ. მაშინაც საყარაულოს წინ ეგ ქალივე იდგა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალს მაშინ, ჯოხზე დახვეულ ბაირაღის მაგიერ, თოფი ეჭირა და ვიღაცა კაცს მოკვლას უპირებდა.

ეს კაციც აქვე ახლოს იდგა. აქვე იდგა შებმული ურემი და ზედ საფქვავი ედვა. გზის ყარაული ავად იყო და ლოგინიდგან ვერა დგებოდა. ამიტომ ამის სამსახურს იმისი ქალი ასრულებდა. ქალი მატარებლს მოსვლას ელოდა და ამიტომ გზა შეჰკრა, რომ მგზავრს გზაზე აღარ ევლო. აი სწორედ ამ დროს მოადგა რკინის გზას შებმული ურემი. ურმის პატრონი ერთი ჯიუტი და ახირებული კაცი იყო და სახელად ფლორიმონი ერქვა. ფლორიმონს უთუოდ უნდოდა გაევლო, თუმცა ჰხედავდა, რომ გზა შეკრულია. ქალი წინ გადუდგა, ხარები მაშინვე შედგნენ. ქალმა ხარები ადვილად დააჯერა, რომ გზაზე გავლა არ შეიძლებაო, და ადამიანი-კი ვერა. ფლორიმონი ისეც თავ-ხედი და თავის-ნება კაცი იყო და დღეს ცოტა გადაკრულშიაც ბრძანდებოდა,—ამიტომ უფრო ახირდა, უთუოდ ეხლავე უნდა გავიაროო, მე ასე მსურსო. ქალი მაინც თავისზე იდგა.

ფლორიმონმა ერთი ვაი-ვაგლახი, აყალ-მაყალი ასტეხა და ქალს ჩხუბი, ლანძღვა-გინება დაუწყო. მერე ამოიღო საათი, დაჰხედა და უფრო გაჯავრებულმა წამოიძახა: მზე ისე არ აჩვენებს სწორედ, როგორც ჩემი საათი. ექვსი წამი გაივლის კიდევ მინამ მატარებელი მოვა. გესმის, ბენუატავ, ექვსი წამია კიდევ დარჩომილი! —ყვიროდა ფლორიმონი. ექვს წამში ერთს-კი არა, ათს ურემსაც გავატარებდი, თუნდ წისქვილზე დასაფქველი ხარებიც მყოლოდა ურემში შებმული... ეხლავე გზა გამიხსენ!...

ბენუატა ყურსაც არ ათხოვებდა ამის ყვირილსა.

— დაჰყრუვდი კიდეც, ყურსაც არ მათხოვებ!—შეჰყვირა ბრაზ-მორეულმა ფლორიმონმა. განა შენი სამასხარაოც გავხდი. ეს პირველად არ მომდის შენგან ამისთანა საქმე. დამეკარგე, გულზე ნუ მომიყვან, თორემ მეტი აღარ შემიძლიან... ძალით გადაველახავ გზასა... სთქვა და ხარებს გაუჯავრდა.

— რას სჩადიხარ, შე უბედურო! —შეჰყვირა ქალმა: აგერ საცაა მატარებელი ზედ მოგვადგება.

მართლაც და იქიდგან, სადაც რკინის გზა გორას უხვევდა, ერთბაშად ბოლი მოეარდა და რაღაც გრიალი მოისმა.

გაშმაგებულს, გადარეულს ფლორიმონს აღარც თვალი უჭრიდა და სმენაც დაეხშო. ეს ისევ თავისას იძახდა:

— გეუბნები, რომ ხუთი წამი კიდევ დარჩა-მეთქი. მე ნებას არ მოგცემ, რომ ჩემზე იცინო და შენი გამოჯავრებული უთუოდ გავიელი.

სთქვა ეს ფლორიმონმა და ხარებს სახრე დაჰკრა. ერთი წამი კიდევ და ურემი გზაზე შედგებოდა. მატარებელი ურემსა და კაცს ხომ გაიტანდა და გაჰსრესდა და, ვინ იცის, იქნება თითონ მატარებელიც მოსხლეტილიყო და გზას გადმოსცდენოდა. მაშინ ხომ საშინელი უბედურება დატრიალდებოდა!

ქალმა ყველა ეს ერთის წუთზე გამოიკვანძა თვალ-წინ. ელვასავით გაქრა, თვალის დახამხამებაზე საყარაულოდამ თოფი გამოიტანა, დაუმიზნა ფლორიმონს და უთხრა: თუ ფეხი დაგიძრავს, მანდვე სულს გაგაყრევინებო...

ქალს ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ რაღაცა შხუილი მოისმა და მატარებელმა შურდულივით გაირბინა.

**

შეშინებული ფლორიმონი თოფნაკრავ ირემსავით გაშტერებული იდგა, თითონვე ჰრცხვენოდა თავის თავისა. ფლორიმონი მხოლოდ ეხლა მიჰხვდა, რა უბედურებას დაატრიალებდა თავის ჯიუტობით. შეწუხდა, თუმცა ესეც-კი სწყინდა:

— როგორ თუ მე, ომის ქარ-ცეცხლში გამოვლილი, თოფის წამალში დამწვარი ჯარის-კაცი, ერთმა ულონო ქალმა თოფით შემაშინაო. ეს მხოლოდ გულში გაიფიქრა და სათქმელად-კი იმის მეტი ვერა გაბედა რა, რომ ბენუატას ქება დაუწყო.

— მართლა და რა ქალი ჰყოფილხარ! ბურგუნდის ყველა ქალები რომ თქვენ გგვანდნენ, მაშინ ხომ საფრანგეთის ბედს ძაღლიც აღარ დაჰყეფდა. რაღად გვინდოდა მაშინ გარიბალდი და იმის ჯარები! აბა თუ პრუსიელები კუდ-ამოძუებულნი და პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდებოდნენ შინისკენ!

— კარგი, კარგი, მე მაგისთანეების გაგონება არ მიყვარს! გააწყვეტინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურებენ, არამედ ებრძვიან შეძლებისამებრ; მაგალითად, ნაცრიან ვაზებს აყრიან გოგირდსა და ამით სწამლობენ, თუმცა-კი უნდა ვთქვათ, რომ ძრიელ ბევრს ვერას გამხდარან თვით გოგირდითაც.

⁂ რკინი-გზის ვაგზალთან 24 ივნისს ღამე ცეცხლი გაჩენია მიშელოვსკის სახლსა და სრულებით გადაუბუგავს შენობა—ვერაფერი გადაურჩენიათ-რა, რაც კი დასაწვავი ჰქონია ან თითონ შენობას, ან რაც კი შიგ ყოფილა რამ ავეჯეულობა. ერთი მდგმურთაგანი ქალი გადმოვარდნილა მაღლიდამ და ხელი დაუშავებია.

სახლი, როგორც შევიტყვეთ, დაზღვეული ყოფილა და თანაც დაგირავებული 20,000 მანათში.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ მოკლე ხანში გამოვა რუსულს ენაზე რჯულდება, ანუ სამართლის წიგნი ვახტანგ VI-ისა. წიგნი მდიდრულად იქნება შეზავებული ბ-ნ ზ. ბაქრაძის შენიშვნებით. ამ შენიშვნებიდამ მკითხველი ნათლად დაინახავს ქართველების ძველს საზოგადობრივს, პოლიტიკურს და სამოქალაქო მდგომარეობას, აგრეთვე მაშინდელს ადათს, ზნესა და ჩვეულებას. ბ-ნ ბაქრაძეს მრავლად უსარგებლნია არა მარტო ცნობილ წიგნებიდამ, არამედ ძვირფასი ცნობები ამოულია სხვა-და-სხვა დაუბეჭდავ იაგდარებიდამ, გუჯრებიდამ და სიგელებიდამ. ამ წიგნის გამომცემელი არის ბ-ნი ფრენკელი, რედაქტორი აწ მოსპობილ „Юридическое Обозрѣніе“-სი.

⁂ ჩვენ წავიკითხეთ ამ დღეებში ბ-ნ ილია წინამძღვარიშვილისაგან დამთავრებული და სასოფლო სკოლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი ვენახების გაშენებისა. ეს წიგნი მშვენივრად არის შედგენილი და ძრიელ ვრცლად და დაწვრილებით გვაცნობებს ვაზის გაშენების საგანს. წიგნი დაიბეჭდება სექტემბერში.

⁂ ტფილისის რკინი-გზის სატეხნიკო სკოლაში მიიღებენ შეგირდებს პირველს კლასში 17 და 18 აგვისტოდამ. ამ დღეებში იქმნება ეგზამენები არითმეტიკისა და რუსულის ენიდამ. თხოვნა უნდა შეიტანოს მსურველმა 5—15 აგვისტომდე სკოლის უფროსის სახელზე. თხოვნასთან უნდა წარადგინოს მოწმობა კურსის შესრულებისა საქალაქო ანუ ორ კლასიან სასოფლო სკოლაში, წლოვანებისა და ყვავილის აცრისა. წლოვანებით უნდა იყოს 14—17 წლამდე.

⁂ მივაქცევთ საქალაქო სანიტართა ყურადღებას იმ საწვრილმანო დუქნებზე, რომელნიც რიყეზე არიან დამართულნი და რომლებშიაც ისყიდება მეტად უვარგისი სხვა-და-სხვა ხმელი თევზი.

⁂ გურიიდამ გვწერენ, რომ სოფელ ნატანების მახლობლად, სამის ვერსტის მანძილზე, არის მთა, სახელად „იაკობი“. მთა იაკობი და ახლო-მახლო მიწები ეკუთვნიან ნაკაშიძეებს და აზ. წითლიძეებს. ბ-ნ ნაკაშიძემ 1885 წ. ეჭვი აილო, რომ „იაკობის“ მახლობლად უნდა ნავთი იყოსო. 1886 წ. მოიყვანეს ამერიკელები, რომელთაც გასინჯეს ადგილი და გადასწყვიტეს, რომ უეჭველად ნავთს ამოვაჩენთო. კიდევაც მიჰყვეს ხელი შემუშავებას და იმ დღიდამ დაწყებული აქ მუდამ მუშაობაა. მიწის საბურღავი და სხვა იარაღები მოიტანეს სამზღვარ-გარეთიდამ და ოდესიდამ. იარაღი და ორთქლის მაშინები ბლომადა აქვთ. წელს, პირველს აპრილს, ამ ორთქლის მაშინებით ჰქონდათ დაბურღული მიწა უმეტესს 80 საჟენისა. როცა 80 საჟენ ქვეშიდამ ამოტანილი მიწა და წყალი გასინჯეს, სრული იმედი მიეცათ, რომ ამ ცოტა ხანში ნავთის ძარღვზე დავადგებითო. ეს გვიამბო ერთმა ამერიკელმა, ბ-ნმა მაკარტიმ, რომელიც მუშაობის მწარმოებელი არის. საუბედუროდ, ამ ცოტა ხანში საბურღავი იარაღი გაუტყდათ და განატეხი იმ 80 საჟენის ქვეშ დარჩა მიწაში და ამოღება შეუძლებელი შეიქნა. ამ გაფუჭებამ ძალიან დააგვიანა საქმე და შეუშალა ხელი მათს მუშაობას. რაკი დარწმუნდნენ, რომ იმის ამოღება აღარ შეიძლებაო, მაშინვე მეორე ალაგას დაიწყეს ბურღვა. ამერიკელები მეტად იმედიანად არიან, რადგანაც იციან, რომ ადრე თუ გვიან მათი შრომა და რამდენიმე ასი ათასი მანათი ხარჯი ფუჭად არ ჩაივლის.

⁂ რაჭიდამ გვწერენ, რომ წელს სოფ. ამბლორაულში დიდის გოლვების გამო სიმინდი ეხლა, თიბათვეში, ითესება; ხოლო ვენახები და პური-კი ავის თვალით არ ინახვება, ისეთი კაი მოსავალი ეტყობაო. ამბროლაურის გარეშე სოფლები-კი, როგორც, მაგალითად, ქვემო-კრიხი, ხოტევი, ნიკორ-წმინდა და ჭელე-ღელე, ძალიან დააზარალა კოხმა (სეტყვამ) და ნიაღვარმა. ამ მხრით დიდ-მამულიან სოფელს ამბროლაურს არავითარი ზარალი არ მისცემია. ზემოხსენებულს სოფლებში ვენახები და პური კოხმა მთლად მიწასთან გაასწორა. პური მაინც საზოგადოდ ისე წაახდინა, რომ ჭელე-ღელელებმა მთელი თავიანთი დასეტყვილი ყანა საქონელს მოაჭამეს და მის მაგიერად სიმინდი დათესეს. მაზრის უფროსმა ბ-ნ ქავთარაძემ, გაიგო თუ არა ეს, მისწერა მამასახლისებს: წარმოადგინეთ მოხსენება, თუ რა ზარალი მოუვიდათ სოფლელებსაო. მაზრის უფროსს სწადიან ამ მოხსენებათა წარდგენა ახალ გუბერნატორის ბ-ნ გროსმანის წინაშე იმ იმედით, რომ დაზარალებულ გლეხებს რაიმე შემწეობა გამოუვიდესთ მთავრობისაგანაო.

⁂ თელავიდამა სწერენ სომხურს გაზ. „მშაკს“ 15 თიბათვედამ, რომ რუსის არტისტები მოვიდნენ და აქაურს კლუბში რუსულს ენაზედ წარმოდგენები გამართეს წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდაო.

⁂ ამავე გაზეთსა სწერენ ბათუმიდამ: 15-ს და 19-ს სომხური წარმოდგენა გაჰმართეს აქა ბ-ნ ადამიანის მონაწილეობით. სხვათა შორის წარმოდგენილი იყო ცალ-ცალკე აღებული ერთი მოქმედება „ჰამლეტი“-სა და „დამნაშავის ოჯახი“-სა. ბათუმის სომხობამ ნიშნად პატივის-ცემისა ადამიანს ყვავილების გვირგვინი მიართვა. თიბათვის 21-ს წარმოადგინეს ორი პიესა, ერთი სომხური და ერთი თათრული და ორი სცენა წაიკითხეს, ერთი სომხური და ერთიც ქართული. ქართული სცენა ბ-ნ კოპაძემ წაიკითხა.

⁂ სამზღვარ-გარეთის სომხურ გაზეთების სიტყვით, გრაფი მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი იტალიის ქალაქ ნიცაშია და ამ ჟამად ავადმყოფობს თურმე.

⁂ აგვისტოში ტფილისში ჩამოვა მინისტრი იუსტიციისა მანასეინი ტფილისის სამოსამართლო პალატის სარევიზიოდ. („Новор. Телег.“-ი).

⁂ ახსაბადელებს წყალი შემოჰკლებიათ და ამისი მიზეზი ის არის, რომ ხალხი გამრავლდაო. ეძებენ წყაროს წყლებსაო. თუ კიდევ მოემატება მცხოვრებლები, ძალიან გაუჭირდებათ საქმე უწყლოობისა გამოვო, ამბობს გაზეთი „კავკაზი“.

⁂ გაზეთ „Рус. Кур.“-სა სწერენ ტფილისიდამ, რომ 1885 წელს დაიწყეს საქართველოსა და საზოგადოდ კავკასიაში თესვა სელისაო. სელის თესვამ ხელი მისცა მემამულეთა და ახლა უფრო და უფრო მეტსა სთესავენო. სელს დიდი გასავალი და ბაზარი აქვს და კავკასიის მემამულენი ჰფიქრობენ, რომ სელის მოყვანით მაინც გამოაკეთონ თვისი ყოფა-ცხოვრებაო. ამისათვის მიჰმართეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და „Вольное экономическое общество“-ს და სთხოვეს საჭირო ცნობანი ამ საქმეზედ, სახელმძღვანელო წიგნი და აგრეთვე თესლი მოგვაწოდეთო. სახელმძღვანელო საეკონომიო საზოგადოებას უკვე გაუგზავნია. ეს სახელმძღვანელო პროფესორის კოროლევის შედგენილიაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ლანირის, საზოგადოება, (ქუთაისის მაზრა) 20 ივნისს. ლანირის საზოგადოება ამ მაზრის სხვა დანაშრენს საზოგადოებას უკან არ ჩამოურჩება ხალხის შეძლებით ჩაქაური ადგილის მდებარეობა საზოგადოდ მშვენიერია, ჰავაც რიგიანია, ნიადაგი ძლიერ ნაყოფიერი და მომცემიანია, პური და სიმინდი ბლომად მოდის და ხალხიც, რასაკვირველია, შრომის მოყვარეა, ასე რომ ამ საზოგადოების მცხოვრებნი თავიანთის საზრდოს გადანარჩენს პურსა და სიმინდს ჰყიდიან კიდეც ყოველ-წლობით და საკმაოდაც ჰყიდიან. აქედამ ბევრი სიმინდი გააქვსთ ვაჭრებს საზღვარ-გარედ სხვა-და-სხვა ქალაქებში. ეს საზოგადოება სამის სოფლისაგან შესდგება: ლანირი, ქუ-

ქალმა სიტყვა და თან ცდილობდა როგორმე დაემშვიდებინა ამღვრეული გული... არ იფიქრო-კი, რომ მარტო შენის გულისათვის ვიწუხებდი მე თავსა.

ამის შემდეგაც არა ერთხელ და ორჯელ ჰსმენია ბენუატას ასეთივე ქება დიდება ფლორიმონისაგან. როცა კი ფლორიმონს აქ გზად გამოვლა მოუხდებოდა, სალაპარაკოდ სულ ეს ამბავი ჰქონდა.

ფლორიმონმა ძრიელაც მოუხშირა ამ გზით სიარულსა. ხშირად გზაც რომ არა ჰქონოდა აქეთკენ, განგებ მოუხვევდა ხოლმე ამ საყარაულოსაკენ. არც უწინდებურად ეშურებოდა ხოლმე გზასა,—პირ-იქით, განგებ ახანებდა წასვლას, რომ უფრო დიდხანს ელაქლაქნა ბენუატასთან.

სიტყვა რაღას გავაგრძელოთ,—ფლორიმონს გული შეუვარდა და ბენუატას არშიყობა დაუწყო. ფლორიმონს მართლა რომ მოსწონდა ქალი და ძლიერაც შეუყვარდა, მაგრამ, სიყვარულის გარდა, ფლორიმონს სხვაცა ჰქონდა გულში. ბენუატას მამა მძიმე ავად-მყოფი იყო და დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ ადგილიდამ დაითხოვდნენ. ფლორიმონს ყური მოეკრა კიდეც სადღაც, რომ რკინის გზის გამგეობა სწორედ ასეც უპირებს ბენუატას მამასაო. მაგრამ ფლორიმონი ამასაც-კი ფიქრობდა,—ნუ თუ ისეთი გულ-ქვავი და უმადური იქნება გამგეობა, რომ კარში გამოაგდებს და სრულიად უნუგეშოდ დასტოვებს ერთგულს და დღეს სნეულობით გაუბედურებულს გზის ყარაულს. ეჭვი არ არის, რომ ამ ადგილს ამისსავე ქალს მისცემენ, მით უფრო, რომ ბენუატა არც ერთს ვაჟ-კაცს არ ჩამოუვარდება და თავის საქმეც კარგად იცის. და თუ ამ ქალის ქმრობა მეღირსა, ურიგო ბედში არ ჩავვარდები; მეც გზის ყარაული გავხდები, და ეს ადგილი ურიგო ადგილი არ არის: კარგი სახლი მექნება, წინ ბაღჩა და სახნავი მიწა. ასეთი ცხოვრება არა სჯობია ურმის უკან დევნასა და ტანტალსა!.. ასეთს ტკბილ ფიქრებს ეძლეოდა ფლორიმონი და თან-და-თან უფრო უძლიერდებოდა ბენუატას სიყვარული.

ბენუატას პირველად სიცილად არა ჰყოფნიდა ფლორიმონის არშიყობა, მაგრამ ბოლოს ცოტად გული მოურბილდა. ბენუატა ასე ჰფიქრობდა: როცა იქნება, ხომ უნდა გავთხოვდე, და ფლორიმონი შემირთავს თუ სხვა, განა სულ ერთი არ არის... ეს მამაჩემიც ლოგინად ჩავარდა და, ვინ იცის, იქნება მალე მარტოდ-მარტო, უპატრონოდ დავრჩე. არც ცუდი კაცია ფლორიმონი; მართალია, ცოტა თავ-ქარიანია, ამბობენ კიდეც, ვითომ შვეიცარიაში ერთი საძაგელი საქმე ჩაედინოს,—ვიღაცა ქალი მოეტყუებინოს და მერე თავი დაენებებინოს, მაგრამ არა უშავს რა,—დაცოლ-შვილიანდება და ხასიათს გამოიცვლის. კარგად იცის, რომ მე ხუმრობა არ მიყვარს, და მე ვიცი, როგორც მოვქნი და მოვარჯულებ.

სამწუხაროდ, ის ამბავი, რომელიც ბენუატას გაეგონა, ჭორი არ იყო. ფლორიმონს შვეიცარიაში მართლა შეეცდინა ერთი ახალგაზდა, ღარიბი გლეხის-ქალი. ქალს შვილიც ჰყოლოდა. ფლორიმონს პირობა მიეცა, რომ ჯვარს დაეიწერო, მაგრამ ერთს ღამეს ჩუმად გამოპარულიყო და მას აქედ იქითკენ აღარც კი მიეხედნა. საწყალს ქალს რამდენიმე წერილი მოეწერა ფლორიმონისათვის, მაგრამ პასუხს რომ ვერ ჰღირსებოდა, თავი მიენებებინა და ამის შემდეგ ამ ქალის ამბავი აღარავინ იცოდა.

**

ფლორიმონის არშიყობამ გასჭრა: ბენუატა უარს არ იყო ფლორიმონის ქმრობაზე. არც ქალის მამა და ვაჟის დედ-მამა ამ ქორწილების წინააღმდეგნი არ იყვნენ. ვაჟის მშობლებს უფრო ის ჰსურდათ, რომ იმათს შვილს კარგი მზითვიანი ქალი ეშოვნა და ბენუატას ვერც მზითვით და ვერც ქალობით ვერ დაიწუნებდნენ. არც ბენუატას მამა იყო შორს დაჰმოყვრებოდა ფლორიმონებსა,—თითონ დაუძლურდა და ქალისათვის უნდა პატრონი აეჩინა.

საქმე საქმეზე მოეწყო, სამზადისს შეუდგნენ ქორწილისათვის და ჯვარის წერის დღეც დანიშნეს. ბენუატას ზოგიერთი სავაჭრო ჰქონდა ქალაქში და აი ერთს დღეს წავიდა დიქონში და თავის საქმროც თან წაიყვანა. მოირბინეს მთელი ქალაქი, ივაჭრეს რაც უნდოდათ და გაეშურნენ რკინის გზის სადგურისაკენ, რომ საღამოთი ისევ შინ მისწროთ.

ბენუატამ შენიშნა, რომ ერთი ვიღაც დედაკაცი აჰყვათ და თვალს არ აშორებდა: ქუჩაში უკან დასდევდა, ხან წინ წავიდოდა, ხან უკან ჩამოჰრჩებოდა. თუ შევიდოდნენ ბენუატა და ფლორიმონი სადმე დუქანში, ეს დედაკაცი შორის ახლოს დადგებოდა და უცდიდა, მინამ დუქნიდამ გამოვიდოდნენ.

ბენუატა რაღაც ეჭვში შევიდა. ხელი წაჰკრა ჩუმად ფლორიმონს და ჰკითხა.

— ვინ არის ეს დედაკაცი? კუდივით რას დაგვდევს უკან? იქნება სათქმელი აქვს რამე?

— მთხოვარა ან მატანტალა დედაკაცი იქნება ვინმე,—უთხრა ფლორიმონმა, მაგრამ ისეთის ხმით-კი უთხრა, რომ ბენუატას გული ჩასწყდა.

ფლორიმონი და ბენუატა რკინის გზის სადგურისაკენ გაეშურნენ. ბევრს ხანს არ გაუვლია, რომ ის დედაკაციც, რომელიც უკანა სდევდათ, აქ გაჩნდა. დედაკაცი ეხლა მარტო აღარ იყო, ხელში პატარა ქალი ეჭირა. დედაკაცს პირი-სახეზე ფერი არ ედო, რაღაც საშინელი ტანჯვა და მწუხარება ეტყობოდა. ბავშვსაც თუმცა მკრთალი, სნეული სახე ჰქონდა, მაგრამ, ვინც-კი შეჰხედავდა, ყველა იტყოდა, რომ პირ-წავარდნილი ფლორიმონიაო.

ბენუატამ ფიცხლავ შენიშნა ეს და გულში მწვავედ რაღამაც გაჰკრა.

— დედაკაცი დიდხანს შეჰყურებდა ფლორიმონს, კიდეც უნდოდა მისულიყო და ვერცა ჰბედავდა. ბოლოს როგორც იყო გაბედა, მივიდა და წყნარის ხმით უთხრა:

— ვეღარა მცნობ განა? სადა ხარ ამდენს ხანს? ეგ იყო შენი დაპირება, ჩქარა დავბრუნდებიო? შენს ლოდინში თვალები გადამაწყდა. აი ბოლოს გიპოვე და იმედი მომეცა. ვსთქვი, ეხლა მე თუ არა, თავის შვილს მაინც შეიბრალებს-მეთქი. მაგრამ მე მალე მივხვდი, რომ შენ სხვა შეგიყვარებია და ჯვარის-წერასაც აპირებ. ღმერთმა სიკეთე მოგცეს, მე კი მეტს სირცხვილსა და ტანჯვას ველარ ავიტან და ჩემს შვილსაც ჩემის ხელითვე მოვაკვდენ, რომ ამასაც სიცოცხლეში შენისთანა კაცი არ შეეყაროს და ჩემსავით უბედურობა არა ჰნახოს.

სთქვა ეს, ყმაწვილი მაგრა მიიკრა გულზე და, ვიდრე ფლორიმონი ხმის ამოღებას მოასწრობდა, გაქანდა მატარებლისაკენ, რომელიც სადგურს დაახლოვებოდა და ქშენით მოდიოდა.

მოისმა საშინელი, გულ-საკლავი ყვირილი. ბენუატა მაშინვე გამოუდგა უბედურს დედაკაცსა, კაბაში ხელი წაავლო, მაგრამ ვერ დაიმაგრა და ორივენი ერთად ზედ შუა გზაზე დაეცნენ. ორთქლით-მატარებელი ვეშაპივით მოგოგავდა წინ,—აი ეს-ეს არის ზედ შესდგება და სამს სულს ერთად გაჰსრესს ჭიანჭველასავით. ხალხი გაშეშებული შეჰყურებდა ამ საცოდაობას. შველა აღარ შეიძლებოდა...

ბენუატა ლომივით ეცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხელი ჰკრა და დედა და შვილი გზიდამ გადმოაგდო. დედა და შვილი სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ თითონ-კი ველარ მოასწრო წამოსვლა. საწყალი ბენუატა ცოცხალ-მკვდარი ძლივს გადაარჩინეს. პირის-სახე სულ დაჩეჩქვილი ჰქონდა, თავი გატეხილი და მარჯვენა ფეხი მოგლეჯილი.

ფლორიმონი სადღაც გაჰქრა...

ტირი და პატარა ჯიხაიში. აქ თავად-აზნაურნი ორმოც კომლამდის არიან და გლეხნი რვაას კომლამდის იქმნებიან. ეს სამი სოფელი ისე ახლოა ერთმანერთზე, რომ თითქმის შეერთებულია; სასოფლო სასამართლოს სახლიც რიგიანს ადგილას არის აშენებული. სამწუხაროდ, ამ საზოგადოებას ერთი დიდი ნაკლულოვანება აქვს. ეს ნაკლულოვანება ის არის, რომ სკოლის დაარსება ამ საზოგადოებას ჯერაც-კი არ მოუფიქრებია. ვერ ვიტყვით, რომ მცხოვრებთ სწავლის სურვილი არა ჰქონდეთ. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ სწავლა-განათლება მიუცილებელი საჭიროებაა ცხოვრებისათვის; მე ბევრის აქაურის გლეხისაგან გამიგონია: „ნეტავი სკოლის დაარსებისათვის მოთავე ვინმე აღმოგვიჩნდებოდეს და ჩვენ ყველანი, შეძლებისა დაგვარად, შევუდგებით სკოლის აშენებასაო. მაგრამ მოთავე არსად სჩანს. მაზრის უფროსის წინანდელი თანაშემწე დღემდის, «რომ ამ მაზრაში დარჩენილიყო, უეჭველია, რამდენიმე ახალი სკოლა მოემატებოდა ქუთაისის მაზრას და, რასაკვირველია, ჩვენც გვექმნებოდა სკოლა. ერთხელ აქ მისის მოსვლის დროს სკოლის დაარსების თაობაზედ გაიმართა ლაპარაკი ხალხში და იქამდე მივიდა საქმე, რომ თითქმის ხალხი ერთობით თანახმა იყო სკოლის საქმე ეკისრნა და სკოლის სახლიც აეშენებინა. მხოლოდ ცოტა უთანხმოება იმაზედ მოხდა, თუ სასწავლებლის სახლი სად და რომელს ალაგას უნდა აეშენოთო; მაშინ უმრავლესობა ქუტირის ეკლესიის მახლობლად ჰფიქრობდა სკოლის აშენებას, რადგან შუა ადგილია ამ საზოგადოებისაო; ამ ადგილის მდებარეობაც ძლიერ კარგია. იგრგლივ ამ ეკლესიას აქვს დიდი მინდორი, ხშირი და მაღალ-მაღალი ცაცხვის და ჭანდრის ხეები; აქვე პატარა მდინარე წყალიც მომდინარეობს, და ჰავაც კარგია აქვე შუა მინდორში მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია სდგას. მოსწავლე ბავშვებს აქ მოსვლა თავიანთ ოჯახებიდამ არ გაუძნელდებათ, რადგან ყველა მხრიდამ ამ ეკლესიაზედ მოსასვლელი გზა გამოდის; მაგრამ ვიმეორებ, ვინ არის პატრონი, რომ ამისთანა დიდი და კეთილი საქმე ითავოს.

ქვემო ქუტირელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ვენგრელებს პირველად ძალიან ეწყინათ სამინისტროს ცვლილება სერბიაში. შიშობდნენ, ვაი თუ სერბია ხელიდამ გამოგვეცალოს, ვაი თუ ჩვენს ჭკუაზე და ნებაზე აღარ იაროსო. დღეს, როგორც სჩანს, ვენგრელები დამშვიდებულან. გაზეთი „Pesther Lloyd“-ი აი რით ინუგეშებს თავსა:

> რისტიჩი ჭკვიანი და ფრთხილი პოლიტიკოსია და არ იზამს, რომ საქმე უკუღმა დაატრიალოს და უცბად შესცვალოს ის განწყობილება, რომელიც ეს შვიდი წელიწადია სუფევს სერბიასა და ავსტრი-ვენგრიას შორის. რისტიჩი მიჰხვდება, რა სარგებლობა მოაქვს სერბიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებისათვის ავსტრიის ზედ-გავლენას; რისტიჩს ისიც ეცოდინება, თუ რა სამწუხარო შედეგი მოჰყვება, ახალმა სამინისტრომ რომ გადუხვიოს იმ გზას, რომელსაც იმის წინამოადგილენი ადგნენ.

მილანი ხომ ტყუილად არ წავიდა ვენაში. ეტყობა, ამ გარემოებამ დაამშვიდა ცოტად აღშფოთებული ვენგრელები.

* *

არაფერი წესები ყოფილა პიატიგორსკის მადნეულ წყლებზე ერთი თვით ავადმყოფი აი რას მოგვითხრობს გაზეთ „Современныя Извѣстія“-ში:

> მიხვედით პიატიგორსკში. რუსეთში ექიმი გეუბნებათ, რომ გოგირდის წყლებში უნდა იბანოთო. მისდიხართ კანტორაში და სთხოვთ,—ბარათი მომეცით ამა-და-ამ აბანოსიო. არ შეიძლებაო, გეუბნებიან, უთუოდ აქაურ ექიმის ნება-რთვა უნდა გქონდეთო.
>
> — ბატონო, რუსეთშიაც ექიმმა მითხრა, რომ გოგირდის წყალში უნდა იბანოვო და კიდევ აქაურ ექიმის ნება-რთვა რაღა საჭიროა. და ესეც რომ არ იყოს, წინა წლებშიაც ვყოფილვარ და მიბანია.
>
> ყურსაც არ გათხოვებენ, ბარათი უნდა მოიტანოვო,—გათავდა.
>
> მეტი ღონე არ არის, მისდიხარ ექიმთან. შენ გულში ჰფიქრობ, ერთხელ ნახვა ხომ არ გამაღარიბებს. მაგრამ ძალიან შესცდებით, თუ ამ იმედით თავს ინუგეშებთ. ექიმი ერთხელ ნახვას და გასინჯვას არა ჰკმარობს:—უთუოდ მთელის ხნით, ვიდრე წყლებზე იქმნებით, უნდა იაროთ ჩემთანაო. მეტი ჯანი და ღონე არ არის, ამაზედაც უნდა დასთანხმდეთ,—აბა ექიმებს სად წაუხვალთ სნეული კაცი.
>
> ამასაც თავი დავანებოთ. ექიმებს საუცხოვო წესი აქვთ შემოღებული: უთუოდ იქ უნდა დაჰჭრით, სადაც თვითონ ექიმი ცხოვრობს, თუმცა, იქნება, შენთვის სხვა ადგილას უფრო სასარგებლო იყოს. მოგწყინდებათ ერთის ექიმის ასეთი ბატონობა და იტყვით ბოლოს, მოდი სხვა ექიმს მივმართავ, გნახოთ, რას მეტყვისო. მისდიხართ, ეჩვენებით და ესეც გეუბნებათ:—აქ ყოფნა თქვენთვის სასარგებლო არ იქმნება, თქვენ უთუოდ სხვა წყალზე უნდა წახვიდეთ. რა ქნას სნეულმა? რომელ ერთს დაუჯეროს?

საბრალო სნეული! რომელ ერთს გაუძლოს, სნეულობას თუ ექიმებს?!

რუსეთი

— ბევრნი ვაჭარნი აცხადებენ, რომ სამზღვარ-გარეთიდამ მოტანილის საქონლითა ვვაჭრობთო, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ეს მაღაზიები გაუსინჯავთ და მათში უცხო ქვეყნების ნაწარმოები ვერა უპოვნიათ-რა. მთელს მაღაზიაში ერთი ყელ-სახვევიც სამზღვარ-გარეთიდამ მოტანილი არ აღმოჩენილა. ეს „უცხო ქვეყნის საქონელი“ მზადდება თურმე პეტერბურგისა, ვარშავისა და ლოძის ქარხნებში.

— შარშან პეტერბურგში დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი—ტელეგრაფისტების ინსტიტუტი. წელს ამ ინსტიტუტში დიდ-ძალს ასალგაზდობას მოუნდომნია შესვლა. შემსვლელთა შორის საშუალო სასწავლებლებში დამთავრებულთ გარდა უნივერსიტეტებში სწავლა გათავებულთაც მოუნდომნიათ ამ ინსტიტუტში შესვლა, რადგანაც ვაკანსია სულ 30 არის თურმე და წელს მატემატიკადამ ეგზამენის იქნება დაწესებული ამ სასწავლებელშიო.

უცხოეთი

ოსმალეთი. სულთანს ჯერ-ჯერობით არ დაუმტკიცებია კონვენცია ინგლისთან. ამის მიზეზი ის არის, რომ სულთანი შიშობს, ვაი თუ კონვენციის დამტკიცებამ მოსლემინება აღელვოსო. მართლადაც, მოსლემინობას კარგად ესმის, რომ კონვენცია ინგლისს ხელში ჩაუგდებს ეგვიპტეს. ისიც მოსალოდნელი არის, როგორც იწერებიან, რომ სულთანის სიცოცხლე საშიშარ ჭყონ. თუ რაოდენად შეშინებულია სულთანი, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ სულთანს სასახლის მცველად ჰყავს თურმე ორი ბატალიონი ქვევითა ჯარისა. სარიფა-ფაშა და რიზა-ფაშა წინააღმდეგნი არიან კონვენციისა. ინგლისი-კი ეძებს მომხრეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავინ ვერ მოუმხრია გარდა გერმანიისა, რომელსაც აღუთქვამს სირიაში ხელის შეწყობა. იწერებიან, ვითომც ინგლისს იტალიაც მიემხრო სხვა-და-სხვა დაპირებითაო. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ სულთანი იძულებულ იქმნება რუსეთს და საფრანგეთს მიემხროს. ვადინქტონს გამოუცხადებია სალისბერისათვის, რომ საფრანგეთის მთავრობა ვერასოდეს ვერ დასთანხმდება კონვენციის დამტკიცებას, თუნდაც იმის ძალით ინგლისს მხოლოდ დროებითი უფლება ეძლეოდეს ეგვიპტეზეო. წარსულს კვირას სალისბერიმ აცნობა ოსმალეთს, რომ კონვენციის დაუმტკიცებლობა სწორედ რომ შეუძლებელია, რადგანაც სულთანმა თავდა-პირველადვე მოიწონა კონვენციაო.

— «რეიტერის სააგენტო» სწერს: მუხთარ-ფაშას ცნობა მიუღია შესახებ იმისა, ვითომ სულთანი თანახმა არ არის კონვენცია დაამტკიცოსო.

გერმანია. როგორც იწერებიან, ბერლინის სამხედრო შტაბს შეუდგენია იმ ვაგონების სია, რომელიც დანიშნულია სამხრეთ-გერმანიის ჯარების გადასაყვანად. თუ ამ სიას დავერწმუნეთ, ბავარიას, ვირტემბერგის და ბადენის საჰერცოგოს შეუძლიანთ მარტო თავიანთის ვაგონებით გადაიყვანონ 280 ათასი კაცი ხუთის დღის განმავლობაში დასავლეთ-სამზღვრისაკენ, ე. ი. საფრანგეთისაკენაო. ეს ჯარი შეადგენს მხოლოდ პირველს დასს სამხრეთ-გერმანიის ჯარებისას. წინედ ბავარიის ჯარების ერთს მესამედს დიდის სიცხის გამო ანთავისუფლებდნენ ხოლმე, ეხლა-კი ეს ნაწილი დათხოვნილი არ არის სამსახურიდგან, თუმცა ბავარიის მეურნეობას ესაჭიროება მუშა-ხალხი.

— რისტიჩის გამინისტრებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა თურმე ბოლგარიაში.

ბიბლიოგრაფია

სოფელ კარდანახში თ. ნიკოლოზ შარმაზანის ძეს აფხაზს ჰქონია შესანიშნავი ისტორიული წიგნი, რომელსაც ასე აქვს მოგლეჯილი და შერჩენია სია სათაურისა: „ზანდუკი წიგნისა ამისა საქმეთა, რომელსა გარეშე შეიცავს შემოკლებათ მოთხრობას დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობამდინ კონსტანტინე კალეოლოღისა, უკანასკნელისა ბერძენთა მეფისა“. წიგნი არის წვრილის ხელით მთელ თაბახზედ ნაწერი და შეიცავს 372 ფურცელსა. მთელი წიგნი არის გაყოფილი 256 თავად. პირველ თავში ახსნაა პირველისა დღისა 52 თავამდინ და ამით სრულდება ისტორია იზრაილის ხალხისა. შემდეგ მეფობა ვალტასარისა, დახსნა სპარსეთის მეფობისა, მეფობა კიროსისა, მეფობა დარიოსისა, მეფობა არტაქსერქსისა და არტაქსერქს მხარგრძელისა, დასაწყისი მეფობისა ელლინთასა (58).

მეფობა რომაელთა (65—79), მეფობა ტიბერის კეისრისა და ნათლისღებისათვის ქრისტესი. 124 თავიდგან იწყობა მეფობა დიდისა კონსტანტინესი და შემდეგ ყველა ვიზანტიის იმპერატორებისა. (200—202) მეფობა ალექსი კომნინისა, მეფობა იოანე კომნინისა, მანუელ კომნინისა. (222—241) აღიწერებიან მაჰმადიანთ სულთნების მეფობა ქსორბანისა, ამურათისა, ბაიაზეთისა, სულთან მაჰმადისა, მურადისა; 242 თავში აღიწერება, რისთვის აღიშენა ვენეცია; 244 დასასრული მეფობისა ბალდავინის ფლანდრისა; დასასრული რუბეთ მეფისა, მეფობა მისერისა, რუბეთის ძმისა, ბალდავინისი; დასასრული ვენეციაში მეფობისა; 248-ში მეფობა მიხაილ კალეოლოღისა. დანარჩენი თავები შეეხება სამღვთო საგნების აღწერასა. უკანასკნელი ფურცელი ამ წიგნსა მოგლეჯილი აქვს და ამის გამო სახელი ამ წიგნის შემდგენელისა არის დაშლილი. შინაარსი ამ წიგნისა გვიმტკიცებს, რომ ეს არის საზოგადო მსოფლიო ისტორია. მოწყობილებითა, ხრონოგრაფიისა და იმ საგნების სისრულითა, რომელნიც აძლევენ ღირსებას ყველა ისტორიულ შრომასა, ეს წიგნი მართლად შესანიშნავია ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში. ამ გვარი ისტორიული კომპილაცია არის იშვიათი თვით ვიზანტიის ისტორიულ ლიტერატურაში და ძნელი იყო ამის შედგენა საქართველოში. ამიტომ ეს წიგნი უნდა იყოს თარგმანი მსოფლიო ისტორიისა ვიზანტიის ისტორიკოსის გედრინისა და ამას გამო მ შევეხე ამ წიგნის სათაურის გადმოცემას. ხელი ამ წიგნისა არ არის ძველი, მაგრამ წანაწერი ერთს ფურცელზედ (355) „ქრისტე, ადიდე მეფე არჩილი“ გვიმტკიცებს, რომ წიგნი ეს ნათარგმნია, ან საქართველოში ხმარებაში ყოფილა 1664—1675 წლიდამ.

ამათვე სამღვთო-წიგნებთაგან აქვთ: 1) მამათ ცხოვრება და მათში რომელთამე ქართველთა, 2) ღვთის-მეტყველება სამ ნაწილად: ა) სარწმუნოება; ბ) სასოება და სიყვარული; გ) ეპისტოლე წმინდისა ეგნატი ღმერთ-შემოსილისა და დ) მარგარიტა იოანე ოქროპირისა კონსტანტინეპოლის პატრიარხისა. ეს უკანასკნელი ორი წიგნი არის გადაწერილი 1881 წელსა სოფრიდონ იაშვილისაგან.

ნიკოლოზ გამრეკელი

წვრილი ამბები

— მინისტრად ნამყოფმა კარაველოვმა, ამბობს ერთი გაზეთი ბუხარესტისა, ციხეში ყოფნის დროს იმდენი გაჭირება და ვაი-ვაგლახი გამოიარა, რომ ეხლა მისი ჯან-მრთელობა სრულიად შერყეულია და საშინლად ტანჯული და წამებული სახე აქვსო.

— ლონდონის გაზეთებსა სწერენ სოფიიდამ, რომ ალექსანდრე ბატტენბერგი ურჩევს ბოლგარებს, ამოირჩიეთ მთავრად გოლც-ფაშაო. ეს ფაშა გენერალია პრუსიისა და მხოლოდ დროებით მსახურობს ოსმალეთის ჯარში.

— სერბიის დედოფალს ნატალიას განზრახვა აქვს, როცა დაბრუნდება სერბიაში, გზად გაიაროს და ინახულოს რუმინიის დედოფალი ელისაბედი.

— როგორც იციან მკითხველებმა, დედოფალმა ვიქტორიამ დიდ-ძალი და ძვირფასი საჩუქრები მიიღო იუბილეის გამო. მაგრამ ყველაზედ შესანიშნავი და თავისებური საჩუქარი გაუგზავნია დედოფლისათვის რუმინიის დედოფალს ელისაბედს. ელისაბედი მწერალი-ქალია და მწერლობაში ჰქვიან კარმენ-სილვა. ელისაბედს გადაუთარგმნია რუმინულად „დღიური“ ვიქტორიასი ინგლისურიდამ, დაუკაზმინებია მდიდრულად, გაუგზავნია დედოფლისათვის და თან თავაზიანი და საალერსო წერილიც მიუწერია.

— ერთს გერმანულს გაზეთში დაბეჭდილია: მისმა უდიდებულესობამ გერმანიის იმპერატორმა უბოძა ოსმალეთის სამხედრო მინისტრს პირველ-ხარისხოვანი ორდენი წითელის არწივისაო.

— გამოჩენილს ინგლისის ექიმს მაკენზის გერმანის მემკვიდრე პრინცისათვის ხელოვანის დოსტაქრობით ამოუღია ყელიდამ მეტ-ხორცა სულ ორს წუთში და გაუგზავნია ვირხოვისათვის, მიკროსკოპით გასინჯო.

— სტოილოვს მოლაპარაკება ჰქონია ალეკო-ფაშასთან (ბოგორიდისთან). ეს ალეკო-ფაშა წინად აღმოსავლეთ-რუმელიის გენერალ-გუბერნატორი იყო.

— რეგენტს მუტკუროვს შეუთვლია ალექსანდრე ბატენბერგისათვის ჯარის სახელით: დასთანხმდი, რომ მეორედ ამოგირჩიოთ ბოლგარიის მთავრადაო.

— ვენის გაზეთი „Frendeblatt“-ი სწერს: ნიდერლანდების (ბელგიის გვერდზე, ჩრდილოეთით) მეფე ვილჰელმი ძალიან ავად გამხდარა. მისი ყოფა საშიშია. მეფეს შარდი შეჰხუთვია და შარიმი გასჩენია.

— პაპი ლეონ მე-XIII-ს ცარკულიარი დაუგზავნია თავის ნუნციებისათვის (ელჩებისათვის). პაპი ამბობს თურმე, რომ მე მეკუთვნის რომის ქალაქიო. იტალია და ვატიკანი თავის დღეში არ შერიგდებიან, ვიდრე რომი არ დაუბრუნდება პაპსაო. სასულიერო უფლება პაპისა მხოლოდ მაშინ იქმნება დამოუკიდებელი, როცა იგი უფლება დაემყარება საერო უფლებაზედო.

— აი რასა სწერს ბოგორიდიზე ერთი გაზეთი ბოლგარიისა: „ჩვენ ვიცით, რომ ხრიკების მოყვარე ალეკო-ფაშას დიდი ხანია უნდა შეიქმნეს მემკვიდრე ჩვენის სახელოვანის მეფეებისა. ეს არის მიზეზი, რომ ჯერ მაშინვე, როცა ალექსანდრე ბატენბერგი ბოლგარიის მთავრად იყო, ალეკო-ფაშა, როგორც ბატონი აღმოსავლეთ-რუმელიისა, დიდის სიამოვნებით იღებდა ფილიპოპოლში ბოლგარიიდამ გაქცეულს პოლიტიკურ მოღვაწეებს და სცდილობდა იმათის შემწეობით დაემხო მისი უფლება. ვიცით ისიც, რომ ალეკო-ფაშა აძლევდა ფულს გაზეთს „დამოუკიდებლობა“-ს, რომელიც დაუნდობლად და გაფოთებით ჰკიცხავდა ბოლგარიის წესებსაო. «მაშინ ჩაუფუშდა თავისი ცდა ალეკო-ფაშას, ვერ დაიჭირა მთავრის ალაგი და კიდევ გამასხლაოჭყო თავი, მაგრამ დარწმუნდეს, რომ ის მთავრად ამორჩევას ვერ ეღირსებაო“.

— კემბრიჯის უნივერსიტეტში ყველაზე კარგა დაუჭერია ეგზამენი ბერძნულსა და ლათინურს ენებში ქალს აგნესა რამზაის. მეორე ქალს მისს გერვის მშვენივრად დაუჭერია ეგზამენი ყველა საგნებში.

— სტრანსკისა სწერენ სოფიიდამ სერბიაში, რომ ბოლგარიის მთავრად სერბიის მეფე მილანი გვინდა ამოვირჩიოთო.

გასართობი

არტისტი და ჯარის-კაცი. ერთი პარიჟის გაზეთი შემდეგს სასაცილო ამბავს გვიამბობს თავის დროზე ძალიან განთქმულს არტისტ-კომიკს არველზე. ერთხელ არველი ჯარის-კაცის როლსა თამაშობდა თურმე. წარმოდგენის დროს ჯარის-კაცად ჩაცმული არველი, პირში ჩიბუხით, გამოვიდა მოსარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ ოთახიდგან და სცენაზედ აპირობდა ასვლას. ყარაულს უცხო ჯარის-კაცი ეგონა თურმე, ნასვამიაო და ამიტომ შეაყენა. არევილმა ხელი ჰკრა, გვერდზე მიაყენა ყარაული და ავიდა თურმე სცენაზედ. როცა ხალხმა ტაშის-ცემა დაიწყო, ყარაული, რომელიც არას დროს არ ყოფილიყო თეატრში, მოელოდა თურმე, რომ ეს მთვრალი ჯარის-კაცი რაიმე არეულობას მოახდენს ხალხშიაო. მერე ყარაულმა აუხსნა, ვინც იყო არევილი.

— შეუძლებელია! — წამოიძახა თურმე გაოცებულმა და გაკვირვებულმა ყარაულმა:—ოცი წელიწადიც რომ იყოს კაცი ჯარში, მაშინაც-კი აგეთი კარგი ჯარის-კაცი ვერ გამოვაო.

ეს ამბავი არევილს გადასცეს თურმე. არევილს ფული უჩუქებია ყარაულისათვის და უთქვამს:

— აჰა, არაყი დალიე ჩემს სადღეგრძელოდ. მე ჩემს დღეში არავის უქივარ ისე, როგორც შენ მაქეო.

— მადლობელი ვარო,—უპასუხნია ყარაულს: მაგრამ ამ ფულით არაყს არ დავლევ, რადგან არაყიც რომ დავლიო, მაშინაც-კი ვერ წარმოვადგენ ისეთს მთვრალს ჯარის-კაცს, როგორიც თქვენ წარმოადგინეთ სიფხიზლეშიო.

**

შვიდი მეუღლე. ამას წინად ნიუ-ჯერსეში, ნიუ-იორკის ახლო, შემდეგი საყურადღებო ამბავი მომხდარა. ამ ქალაქის-ხმოსანი ვილაც ჰოლმესი როცა გარდაცვლილა, უკან გარდაცვალებულს შვიდი ქალი მისდევდა თურმე. ეს შვიდივე ქალი თავის თავს ჰოლმესის ცოლადა სთვლიან თურმე და ყველანი ისაკუთრებენ ჰოლმესის სამკვიდროს. ამ შვიდს მეუღლეს ჰოლმესისას წინ მიუძღოდათ თურმე თერთმეტი ყმაწვილი, ჰოლმესის შვილები. უკანასკნელი მეუღლე ჰოლმესისა, რომელიც ქმართანა სცხოვრებდა სახლში, სულ ექვსის თვის ჯვარ-დაწერილი ყოფილა ჰოლმესზედ. როცა პირველი ექვსი ცოლი ერთმანერთს ეჩხუბებოდნენ, არა მე მეკუთვნის გარდაცვალებულის სამკვიდრო, არა მეო, მაშინ მეშვიდე ცოლი მივიდა თურმე სასამართლოში და მოსამართლესაგან ნება-რთვა აიღო პირველის ექვსის ცოლის დაპატიმრებისა. ამასობაში ერთი შვილი ჰოლმესისა დაეპატრონა თურმე მამის სახლს და ქვრივები სულ გარედ გამოყარა, თავის დედის გარდა. შემდეგ პოლიცია მოვიდა და ყველანი გამომძიებელს გადასცა თურმე. საზოგადოდ, ჰოლმესს ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, თუმცა კარგ პოლიტიკოსად ითვლებოდა. ნიუ-იორკში სასამართლოს ჰოლმესისათვის ათის წლით კატორგა გადაუწყვეტია ერთის პოლიციელისა და იმის ცოლის მოკვლისათვის, მაგრამ იმდენი ეცადა თურმე და ისე მოახერხა, რომ აპატიეს.

**

სასაცილო საზოგადოება. რამდენსამე უსაქმო სტატისტიკოსს საფრანგეთისას უანგარიშნიათ, რომ პარიჟის მაღალ საზოგადოების ქალები მოდაზე წელიწადში 10—12 მილიონ მანათსა ჰხარჯავენო და ორი მესამედი ამ ფულისა სულ უბრალოდ იხარჯება და იფანტება; ამ ქალების მოდა 4 მილიონ მანათზე მეტი არ დაჯდებოდა, სხვა-და-სხვა ვაჭრები და ფულის მსესხებელნი რომ არ ატყუებდნენო. ამიტომ ამ სტატისტიკოსებს განუზრახავთ მთელი საზოგადოება შეადგინონ, რომელიც ყოველსავე ღონის-ძიებას იხმარებს იაფად დაუსვას მოდა პარიჟის მაღალ საზოგადოების ქალებსაო.

დეპეშა

25 ივნისი

ტირნოვო. დღეს დიდმა საერო კრებამ ბოლგარიის მთავრად ამოირჩია პრინცი ფერდინანდ საქსენ-კობურგისა. გუშინ ამავე საერო კრებას საიდუმლო სხდომა ჰქონდა და კრებას მოხსენდა, რომ პრინცი ბატენბერგი სამუდამოდ და დაბოლოვებით უარს ამბობს ბოლგარიაში დაბრუნებაზედ.

26 ივნისს

ოდესსა. სერბიის დედოფალმა გადასცა ქალაქის მმართველს 500 მანეთი ქალაქს ვერნში დაზიანებულთა სასარგებლოდ.

სოფია. დიდის საერო კრების პრეზიდენტმა გაუგზავნა კობურგის პრინცსა კრების სახელით დეპეშა, მიულოცა მთავრად ამორჩევა ერთხმობითა და გამოუცხადა იმედი, რომ პრინცი თავის სიცოცხლეს შესწირავს ბოლგარიის კეთილ დღეობისა და დიდებისათვის მზრუნველობას.

აქ ყველა დარწმუნებულია, რომ კობურგის პრინცი მიიღებს მოწვდილს გვირგვინსა; ხოლო არ იციან, ეხლავე მოვა ბოლგარიაში, თუ ჯერ მოივლის ევროპის სახელმწიფოებს ხელმწიფეთა სანახავად; პირველს შემთხვევაში საერო კრება არ დაიშლება და მოიცდის, რომ ფიცი დაუდოს, უკანასკნელ შემთხვევაში კი დაიშლება ახალის მთავრის მოსვლამდე.

კონსტანტინოპოლი. ინგლისის დესპანმა დრუმონდ ვოლფმა გამოუცხადა დიდს ვეზირს, რომ თუ 28-ს ივნისამდე კონვენცია ეგვიპტის შესახებ არ იქმნება დამტკიცებული, მე კონსტანტინეპოლიდამ გავალო.

პეტერბურგის ბირჟა, 23-ს ივნისს
ფასები:

	მყიდვე-ლისა	გამყიდ-ველისა	გაყიდუ-ლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— ›	— ›	9 21
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	178½
მანათიანი ვერცხლის ფული, ...	— ›	— ›	1 28
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ›	— ›	264½
— მეორისა	— ›	— ›	249¼
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. .	— ›	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა . .	— ›	— ›	— ›
ტფილისის სურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

27 დღე შაბათი. ღირს. გიორგი მთაწმინდელისა. კათოლ. ვლადისლავისა და ვიტალიასი. სომეხ. წმ. ტრდატ მეფისა სომეხთა, მისის მეუღლის აშხენ დედოფლისა, ხოსროვიდუხტისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—36. მთვარე 19 დღისაა.

28 დღე კვირა. აღმოყვანება ნაწილთა წმ. საკვ.-მოქმედ. კვიროსი, იოანესი და პავლე მკურნალისა. კათოლ. ლეონ II-ისა, ირინესი და პლუტარხისა. სომეხ. პოვნა წმ. ღვთისმშობლის სამოსლისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—36. მთვარე 20 დღისაა.

29 დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. პეტრესი და პავლესი. კათოლ. პეტრესი და პავლესი. სომეხ. წმ. კალისტრატესი, ლუკიანესი და 49 მოწამეთა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—35. მთვარე 21 დღისაა.

30 დღე სამშაბათი. წმ. 12 მოციქულთა. კათოლ. ემილიასი და ლიუციანასი. სომეხ. წინასწარ-მეტყ. ზაქარიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—35. მთვარე 22 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	49	ბათუმი . .	—	—	8	4
ავჭალა. . .	9	9	9	11	ქობულეთი .	8	54	8	57
მცხეთა. . .	9	32	9	40	ნატანები . .	9	25	9	29
ქსანი . . .	10	3	10	05	სუფსა . . .	9	55	10	2
კასპი. . . .	10	33	10	36	ლანჩხუთი .	10	35	10	39
გრაკალი . .	10	59	11	1	ნიგოითი . .	10	51	10	53
გორი . . .	11	25	11	40	საჯავახო. .	11	14	11	16
ქარელი . .	12	8	12	11	**სამტრედია** .	11	33	11	51
გომი . . .	12	37	12	41	კოპიტნარი .	12	13	12	16
ხაშური . .	1	2	1	17	რიონი . . .	12	47	1	2
სურამი . .	1	29	1	32	აჯამეთი . .	1	15	1	18
ფონი . . .	2	—	2	3	**ყვირილა** . .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა . .	2	48	2	50
მარელისი .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი .	4	15	4	18	მარელისი .	3	47	3	49
ძირულა . .	4	45	4	48	**ბეჟათუბანი**	4	18	4	37
ყვირილა. .	5	26	5	40	ფონი . . .	5	30	5	34
აჯამეთი . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	2	6	5
რიონი. . .	6	29	6	44	**ხაშური** . .	6	17	6	32
კოპიტნარი .	7	08	7	10	გომი . . .	6	50	6	54
სამტრედია .	7	29	7	49	ქარელი . .	7	16	7	19
საჯავახო. .	8	5	8	7	**გორი** . . .	7	44	7	54
ნიგოითი . .	8	27	8	30	გრაკალი . .	8	15	8	17
ლანჩხუთი .	8	42	8	46	კასპი. . . .	8	40	8	43
სუფსა . . .	9	19	9	27	ქსანი . . .	9	7	9	9
ნატანები . .	9	52	9	55	მცხეთა. . .	9	28	9	34
ქობულეთი .	10	22	10	25	ავჭალა. . .	9	52	9	54
ბათუმი . .	11	13	—	—	**ტფილისი** .	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი. . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	**ხაშური** . .	3	11	3	27
მცხეთა. . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	**გორი** . . .	5	4	5	19
გრაკალი . .	6	—	6	3	გრაკალი . .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	31	6	45	კასპი . . .	6	18	6	24
ქარელი . .	7	18	7	24	ქსანი. . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთა . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	24	8	38	ავჭალა . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 ›
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	› ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი. . . .	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	› ›
› 2 ›	› ›

სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ, „Тифлисское Губернское Правленіе“, თავის გარდაწყვეტილების თანხმად დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის კნეინა ნინა ყაფლანის ასულს წულუკიძისას და რომელიც იმყოფება ლორიის საპრისტაოში, ბორჩალოს მაზრაში, სახელწოდებით, თაშირ-ჯილგა. ეს მამული შეიცავს 1179 დესიატინას და 1200 ოთხ-კუთხ საჟენ მიწას. ამაში 30 დესიატინა სახნავ-სათესი და სამოსახლო ადგილებია, დანარჩენი მიწა-კი სათიბი და საბალახო. ეს მამული დაფასებულია 10,000 მანათად. ამ ფულით გადახდილ უნდა იქმნას მის გარდაცვალებულის მამის თ. ყაფლან ორბელიანის სახელმწიფო ვალი. ამ მამულის გასყიდვის ვადა დანიშნულია 2-ს ენკენისთვეს ამა 1887-ს წლისას, დილის 11-ს საათზე, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (Переторжка) იქმნება სამის დღის შემდეგ.

ვისაც სურს ამ მამულის ყიდვა, უნდა წავიდნენ დანიშნულს საგუბერნიო სამმართველოში, სადაც შეეძლებათ ნახონ დაწერილებითი აღწერილობა ამ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახებ.

(3—3)

კერძო განცხადებანი

სათეატრო განცხადება

ამ წლის ოქტომბრის თთვის დამლევიდამ დაიწყობა ქართული წარმოდგენები ბ-ნ ფორკატის ანტრეპრენიორობით ახალად აშენებულს ბანკის თეატრში და ამიტომ ვსთხოვთ დასში შესვლის მსურველთ როგორც ძველთა, აგრეთვე ახალთა, რომ თავის თხოვნით მოგვმართონ ამ ადრესით: ვერა, მოსკოვის ქუჩა, პავლოვის სახლებში, მე-7 №-რი.

რწმუნებული ბ-ნ ფორკატისა
(10—5) გ. აბაშიძე

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა
ს. მგალობლიშვილისა
I მეურვეზე
II დიდ ზალაში
ფასი ორი შაური.

Дозв. цен. Тиф. 26 іюня, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე